# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის და ძალადობის პრევენციისა და რეაგირების წესი

## თავი I. ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის და ძალადობის პრევენციისა და რეაგირების წესი (შემდეგში - წესი) აწესრიგებს სამინისტროს სისტემაში (ცენტრალური აპარატი და სისტემაში შემავალი უწყებები) სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის და ძალადობის პრევენციისა და სავარაუდო სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის და ძალადობის ფაქტზე შესაბამისი რეაგირების განხორციელების საკითხებსა და პროცედურებს.

**მუხლი 2. წესის მიზნები**

წესის მიზნებია:
ა) სამინისტროს სისტემაში სექსუალური შევიწროებისგან, ექსპლუატაციისა და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნა;
ბ) სავარაუდო სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის და ძალადობის ფაქტის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება;
გ) სექსუალური შემავიწროებლის, ექსპლუატატორის და მოძალადის მიმართ მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული და სამართლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება;
დ) სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის და ძალადობის პრევენციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების, მათ შორის, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა და ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელება.

**მუხლი 3. წესის მოქმედების ფარგლები**

1. წესის მოქმედება ვრცელდება სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ ნებისმიერ პირზე, მიუხედავად მისი თანამდებობრივი მდგომარეობისა და ადგილმდებარეობისა (მათ შორის, ცენტრალური ოფისები, ასევე, შენობის გარეთ სივრცეები - შეხვედრები, მივლინებები, ტრენინგები, კონფერენციები, სოციალური ქსელი და სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება კანონმდებლობით დადგენილი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად), აგრეთვე სტაჟიორებსა და პრაქტიკანტებზე.
2. წესით გათვალისწინებულ დებულებათა შესრულება სავალდებულოა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული ნებისმიერი პირისთვის და მათი დარღვევა იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას.
3. სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის და ძალადობის სუბიექტი შესაძლოა იყოს სამინისტროს სისტემის ნებისმიერი თანამშრომელი.
4. სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის და ძალადობის მსხვერპლი შესაძლოა იყოს სამინისტროს სისტემის თანამშრომელი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომლის მიმართ იგივე ქმედება პირმა სამინისტროს სისტემის თანამშრომლის სტატუსით განახორციელა.

**მუხლი 4. წესის ძირითადი პრინციპები**

წესი ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:
ა) სამინისტროს სისტემაში დასაქმებული ნებისმიერი პირი ვალდებულია მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით განახორციელოს სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის და ძალადობის ფაქტის აღმოფხვრისკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება, დაიცვას და კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე წესის დებულებები;
ბ) აკრძალულია პირის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა სავარაუდო შევიწროების, ექსპლუატაციის ან ძალადობის ფაქტის შესახებ საჩივრის წარდგენის გამო და იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი II. სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციისა და ძალადობის ცნება, ფორმები და ინდიკატორები

### მუხლი 5. სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის და ძალადობის ცნება

ა) სექსუალური შევიწროება არის დისკრიმინაციის ფორმა, პირის მიმართ სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს;
ბ) სექსუალურ შევიწროებას აქვს ძირითადად ორი სახე:
ბ.ა) მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ (Quid Pro Quo), რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის მოთხოვნას რაიმე სახის სარგებლის სანაცვლოდ;
ბ.ბ) მტრული სამუშაო გარემო ანუ სამუშაო ადგილზე დამაშინებელი, შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი პირობების შექმნა;
გ) სექსუალური ექსპლუატაცია არის სხვა ადამიანის სექსუალური მიზნებისთვის სარგებლობის იძულება, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, პირის ჩაბმა პროსტიტუციაში, სხვა სახის სქესობრივ მომსახურებაში ან პორნოგრაფიული მასალის წარმოებაში მის მიმართ მოწყვლადობის, მუქარის, ძალადობის, იძულების, შანტაჟის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან სამუშაოს ხასიათისა და პირობების შესახებ ყალბი ინფორმაციის მიწოდებით;
დ) სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით. სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;
ე) სექსუალურ შევიწროებას, ექსპლუატაციას და ძალადობას შესაძლოა დაექვემდებაროს ნებისმიერი პირი მისი სქესის, ასაკის, რელიგიური ან ეთნიკური ნიშნის, სექსუალური ორიენტაციის, სოციალური სტატუსის, სამსახურებრივი პოზიციის ან სხვა ნიშნის მიუხედავად;
ვ) სექსუალური შევიწროება, ექსპლუატაცია და ძალადობა მსხვერპლის ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს, მათ შორის, ამცირებს მის სამუშაო პროდუქტიულობას;
ზ) აკრძალულია ნებისმიერი სახის სექსუალური შევიწროება, ექსპლუატაცია და ძალადობა.

### მუხლი 6. სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციისა და ძალადობის ფორმები

1. სექსუალური შევიწროების ფორმებია:

ა) სიტყვიერი:
ა.ა) სექსუალური ხასიათის ხუმრობა;
ა.ბ) სექსუალური ხასიათის კომენტარი ადამიანის გარეგნობის, ჩაცმულობის ან პირადი ცხოვრების შესახებ;
ა.გ) კომენტარი ადამიანის სექსუალობის შესახებ;
ა.დ) კომენტარი ადამიანის სექსუალური ორიენტაციის შესახებ;
ა.ე) კომენტარი საკუთარი სექსუალური გამოცდილების შესახებ;
ა.ვ) სექსუალური ხასიათის სახელების დაძახება;

ბ) არასიტყვიერი:
ბ.ა) სექსუალური ხასიათის ფოტოს/ვიდეოს ჩვენება ან ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით გაგზავნა;
ბ.ბ) სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაციის ჩვენება;
ბ.გ) სექსუალური ხასიათის ტექსტის გაგზავნა ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით;

გ) ფიზიკური:
გ.ა) სახეზე ან სხეულზე (მაგალითად, მხარზე ან წელზე და ა. შ.) შეხება;
გ.ბ) ჩახუტება;
გ.გ) ჩქმეტა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სექსუალური შევიწროების ფორმები არ არის ამომწურავი და სექსუალური შევიწროვება შეიძლება მოიცავდეს სექსუალური ხასიათის ნებისმიერ ქცევას, რომელიც არასასურველია და მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს და ა.შ.

3. სექსუალური ექსპლუატაციის ფორმებია:
ა) კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია:
ა.ა) პროსტიტუცია - სექსუალური მომსახურება სრულწლოვან პირებს შორის, მათი თანხმობის პირობებში, ანაზღაურების გარკვეული ფორმით, მყიდველისა და გამყიდველის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
ა.ბ) სექსუალური ტრეფიკინგი - ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით;
ბ) არაკომერციული სექსუალური ექსპლუატაცია:
ბ.ა) ემოციური, ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ზეწოლის გამოყენება, მსხვერპლის სექსუალურ აქტზე მისი ნების საწინააღმდეგოდ დათანხმების მიზნით;
ბ.ბ) ინდივიდების დაუცველობით სარგებლობა, მათი იძულება ან იძულება სექსუალურ აქტებზე;

ბ.გ) შეღავათიანი მოპყრობა ან შეღავათიანი მოპყრობის დაპირება მსხვერპლის მხრიდან სექსუალური შეღავათების სანაცვლოდ, მათ შორის სექსუალური აქტის აშკარა მოთხოვნა რაიმე ჯილდოს ან კარიერული წინსვლის სანაცვლოდ.
4. ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული ფორმები არ არის ამომწურავი. სექსუალური ექსპლუატაციის თითოეული ფორმა გულისხმობს ძალაუფლების, ნდობის ან დაუცველობის ბოროტად გამოყენებას სექსუალური დაკმაყოფილების ან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.
5. სექსუალური ძალადობის ფორმებია:
ა) ნებისმიერი არასასურველი ან არაკონსენსუალური სქესობრივი კონტაქტი, სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით;
ბ) სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;
გ) ძალის გამოყენებით განხორციელებული ნებისმიერი ხასიათის სექსუალური ქმედება.
6. ამ მუხლის მეხუთე პუნქტით გათვალისწინებული ფორმები არ არის ამომწურავი და სექსუალური ძალადობა შეიძლება მოიცავდეს ადამიანის იძულებას არასასურველ სექსუალურ/სქესობრივ აქტივობაზე მისი ნების საწინააღმდეგოდ, რომლიც არღვევს ინდივიდის სქესობრივ ავტონომიას, ღირსებასა და პიროვნულ საზღვრებს.

**მუხლი 7. სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციისა და ძალადობის ინდიკატორები**
1. სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციისა და ძალადობის ინდიკატორებია:
ა) ქმედების ხასიათი;
ბ) მსხვერპლის მიერ სიტუაციის აღქმა;
გ) ქმედების ინტენსივობა;
დ) ქმედების განმეორებადობა;
ე) შემავიწროებლის მიერ მსხვერპლზე გავლენის მოხდენა;
ვ) მსხვერპლის დაუცველი მდგომარეობა;
ზ) შემავიწროებელსა და მსხვერპლს შორის ურთიერთობა, მათ შორის, სამსახურებრივი იერარქია.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინდიკატორები არ არის ამომწურავი და ერთი ინდიკატორის არსებობაც შესაძლოა საკმარისი იყოს სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციისა და ძალადობის დასადასტურებლად. ამასთან, შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევას მხოლოდ რამდენიმე ინდიკატორი ან არც ერთი მათგანი არ ახასიათებდეს.

## თავი III. საჩივრის წარდგენისა და საქმის წარმოების დაწყების წესი

**მუხლი 8. საჩივრის წარდგენა**
1. ნებისმიერმა პირმა, რომელიც თავს მსხვერპლად მიიჩნევს, თუ შესაძლებელია, უნდა შეატყობინოს სავარაუდო დამნაშავეს, რომ მისი ქცევა არის არასასურველი და მიუღებელი.
2. თუ მსხვერპლს არ შეუძლია უშუალოდ მიმართოს სავარაუდო დამნაშავეს, მას შეუძლია, სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის ან ძალადობის ფაქტის შესახებ საჩივრით მიმართოს მინისტრს ან სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს.
3. სავარაუდო მსხვერპლი საჩივარს წარადგენს ზეპირი ან წერილობითი სახით, მისთვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

4. სავარაუდო მსხვერპლი საჩივარში მიუთითებს სავარაუდო დამნაშავის სახელსა და გვარს, დაკავებულ თანამდებობას, მათი სამსახურებრივი/პროფესიული ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას, სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის ან ძალადობის ფაქტებს. არსებობის შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლი საჩივარს თან დაურთავს მტკიცებულებებს (წერილობითი, ფოტო, ვიდეო, აუდიო და სხვა მასალა, მესამე პირების ვინაობა, რომლებიც შესაძლოა ფაქტის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ).
5. სავარაუდო მსხვერპლის ნაცვლად, მესამე პირი (შემდგომში - მამხილებელი) უფლებამოსილია, საჩივარი წარადგინოს მინისტრთან ან სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტში ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ფორმით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია სათანადო მტკიცებულება და მიიჩნევს, რომ სავარაუდო მსხვერპლი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებს საჩივრის უფლების გამოყენებას.
6. ამ წესით განსაზღვრული საჩივრის პროცედურის გამოყენებამდე, მისი გამოყენებისას ან გამოყენების შემდეგ, მსხვერპლი არც ერთ ეტაპზე არ არის შეზღუდული, სექსუალური შევიწროების, ექსპლუატაციის ან ძალადობის ფაქტის შესახებ მიმართოს სასამართლოს, სამართალდამცავ ორგანოებს ან/და საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 9. მამხილებლის უფლებები**
1. მხილება შეიძლება იყოს ანონიმური.
2. თუ არ არსებობს მამხილებლის მიერ მისი ვინაობის გამჟღავნების წერილობით გამოხატული ნება, სამინისტრო ვალდებულია არ გაამჟღავნოს მამხილებლის ვინაობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3. დაუშვებელია მამხილებლის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყება და მისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება, აგრეთვე მის მიმართ იძულებითი ზომების გამოყენება მხილების ფაქტთან დაკავშირებული გარემოებების გამო.
4. მამხილებელი დაცვის გარანტიებით სარგებლობს განურჩევლად იმისა, მხილების შედეგად გამჟღავნებული ინფორმაცია სწორია თუ მცდარი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:
ა) მხილების შედეგად გამჟღავნებული ინფორმაცია მცდარია, რაც მამხილებლისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან ცნობილი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მას შეეძლო გადაემოწმებინა მხილებისათვის საჭირო ინფორმაციის სისწორე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან ამ ინფორმაციის გადამოწმებისთვის აუცილებელი ყველა შესაძლო ზომა მიიღო და მისი მცდარობა მაინც ვერ დაადგინა;
ბ) მამხილებელი მოქმედებს თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის მისაღებად.

**მუხლი 10. საქმის წარმოების დაწყება**
1. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლის ან მის ნაცვლად, მამხილებლის მიერ ზეპირი ან წერილობითი ფორმით საჩივრის წარდგენა მოხდა მინისტრთან, მინისტრი დაუყოვნებლივ კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით ავალებს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს დისციპლინური წარმოების დაწყებას.
2. მინისტრის დავალების საფუძველზე ან იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლის ან მის ნაცვლად, მამხილებლის მიერ ზეპირი ან წერილობითი ფორმით საჩივრის წარდგენა მოხდა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტში, ამავე

დეპარტამენტის ხელმძღვანელი ინსპექტირების სამმართველოს თანამშრომელს ავალებს დისციპლინური წარმოების დაწყებას.

3. მინისტრის მიერ გაგზავნილი დავალება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ სამინისტროს შიდა აუდიტის ინსპექტირების სამმართველოს იმ თანამშრომლისათვის, რომელსაც დაევალა საქმის განხილვა.

4. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო შემავიწროებელი შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელია, მინისტრი დისციპლინური წარმოების ჩატარებას ავალებს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს ხელმძღვანელს.

5. მინისტრი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი სავარაუდო მსხვერპლის ინტერესების დაცვისა და სიტუაციის განმუხტვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მხარის თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოებისას ერთ-ერთ მხარეს შეუცვალოს სამუშაო ფუნქციები ან/და სამუშაო სივრცე ან შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა დროებითი ღონისძიება.

6. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო  მსხვერპლის ან მის ნაცვლად, მამხილებლის მიერ ზეპირი ან წერილობითი ფორმით წარდგენილი საჩივარი შეეხება პირის სექსუალური ექსპლუატაციის ან პირზე სექსუალური ძალადობის სავარაუდო ფაქტს, სამინისტრო ვალდებულია სავარაუდო სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალური ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის სამართალდამცავ უწყებას და გადაუგზავნოს მასთან არსებული ყველა დოკუმენტაცია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

## თავი IV. სექსუალური შევიწროების შესაძლო ფაქტზე დისციპლინური წარმოება

### მუხლი 11. სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი სუბიექტი

1. სამინისტროში სექსუალური შევიწროების საქმეებზე დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს შიდა აუდიტის დეპარტამენტი.

2. საქმის განმხილველი პირის შერჩევისას შეძლებისდაგვარად დაცული უნდა იყოს გენდერული ბალანსი.

3. სავარაუდო მსხვერპლი ან სავარაუდო შემავიწროებელი, უფლებამოსილია მოითხოვოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, საქმის განმხილველი თანამშრომლის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს სხვა თანამშრომლით ჩანაცვლება.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და საქმის განმხილველი სხვა თანამშრომლის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ხოლო ამ წესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს ხელმძღვანელი.

5. მინისტრი, შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს ხელმძღვანელი, ამავე დეპარტამენტის თანამშრომელი, სავარაუდო მსხვერპლი, სავარაუდო შემავიწროებელი და საქმის შესწავლის პროცესში ჩართული ყველა პირი ვალდებულია არ გაასაჯაროვოს მიღებული ინფორმაცია, გამოკვლეული მტკიცებულებები და მიღებული გადაწყვეტილება.

### მუხლი 12. სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი პირის უფლებამოსილება

1. სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი პირი უფლებამოსილია, მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით:
ა) გამოკითხოს სავარაუდო მსხვერპლი;
ბ) გამოკითხოს სავარაუდო შემავიწროებელი;
გ) გამოკითხოს მესამე პირები, ვინც შესაძლოა ფლობდეს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას;
დ) გამოიკვლიოს საქმეში არსებული ნებისმიერი მტკიცებულება;
ე) გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, მიიღოს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება (დასკვნა) სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ;
ვ) სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, განსაზღვროს შემავიწროებლის მიმართ დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
2. ობიექტური გარემოებების არსებობისას, მათ შორის, კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომელი უფლებამოსილია სავარაუდო მსხვერპლსა და შემავიწროებელს გაესაუბროს მათთვის სასურველ ადგილას, რომელიც შესაძლოა იყოს სამინისტროს სისტემის ადმინისტრაციული შენობის გარეთ არსებული ტერიტორია.
3. სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი პირი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, სამინისტროს შინაგანაწესის, შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულებისა და ამ წესის შესაბამისად.

## თავი V. საჩივრის განხილვის ვადები და დასკვნის მომზადება

### მუხლი 13. საჩივრის განხილვის ვადა
სექსუალური შევიწროების საჩივართან დაკავშირებით სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი თანამშრომელი გადაწყვეტილებას იღებს მინისტრის ან შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიმართვიდან ერთი თვის ვადაში, რომლის გაგრძელებაც შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით.

### მუხლი 14. დასკვნის მომზადება
1. სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი თანამშრომელი მინისტრის სახელზე ამზადებს წერილობით დასკვნას სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების ან დაუდასტურებლობის შესახებ.
2. ამ წესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომელი წერილობით დასკვნას ამზადებს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს ხელმძღვანელის სახელზე.
3. შიდა აუდიტის დეპარტამენტის ისპექტირების სამმართველოს ხელმძღვანელი (ამ წესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას) დასკვნას წარუდგენს მინისტრს.
4. მინისტრი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დასკვნით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების თაობაზე;

ბ) არასაკმარისი დასაბუთების მოტივით, დასკვნის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისთვის დაბრუნების თაობაზე, მისი ხელახალი შესწავლის მიზნით;
გ) სექსუალური შევიწროების ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ.
5. სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ დასკვნის განმეორებით წარდგენის შემთხვევაში, მინისტრი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.
6. მინისტრი დასკვნას განიხილავს და შესაბამის აქტს გამოსცემს დასკვნის წარდგენიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

## თავი VI. დისციპლინური პასუხისმგებლობა

**მუხლი 15. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება**
1. სამინისტროს თანამშრომლის მიმართ სექსუალური შევიწროების ჩადენა ითვლება მძიმე დისციპლინურ გადაცდომად.
2. სამინისტროს სისტემის თანამშრომლის მიმართ, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დადგინდება სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, მინისტრი დასკვნის მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ:
ა) გაფრთხილება;
ბ) საყვედური;
გ) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;
დ) სამსახურიდან გათავისუფლება.
3. სტაჟიორის/პრაქტიკანტის მიმართ, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დადგინდება სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, მინისტრი დასკვნის მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი სანქციის დაკისრების შესახებ:
ა) გაფრთხილება;
ბ) საყვედური;
გ) სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;
დ) სტაჟირების/პრაქტიკის შეწყვეტა.
4. სანქციის სახე დამოკიდებულია სექსუალური შევიწროების სიმძიმეზე, ხარისხზე, სამსახურებრივი დაქვემდებარების ფორმასა და რეციდივზე. ასევე, მხედველობაში მიიღება, რა გავლენა მოახდინა სექსუალურმა შევიწროებამ მსხვერპლის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაზე.
5. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა სექსუალურ შევიწროებას ფიზიკური ფორმით, დაუშვებელია შემავიწროებლის მიმართ თანამდებობრივი სარგოს დაკავების გამოყენება.
6. თანამშრომლის მხრიდან სექსუალური შევიწროების განმეორებით ჩადენა იწვევს მის სამსახურიდან გათავისუფლებას, ხოლო სტაჟიორის/პრაქტიკანტის შემთხვევაში - სტაჟირების/პრაქტიკის შეწყვეტას.
7. შემავიწროებლის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს სანქციის მხოლოდ ერთი სახე.
8. დაუშვებელია სექსუალური შევიწროების ჩამდენისთვის დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა.

## თავი VII. სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების წესის გაცნობა

### მუხლი 16. წესის გაცნობა

სამინისტროს სისტემაში ამ წესის გაცნობის ვალდებულება ეკისრება სამინისტროს სისტემის ადამიანური რესურსების მართვის ერთეულებს მისი საჯაროდ გამოცხადების ან ყველასათვის ხელმისაწვდომი სხვა გზით.

## თავი VIII. სექსუალური შევიწროების საკითხებზე პასუხისმგებელი პირი

### მუხლი 17. სექსუალური შევიწროების საკითხებზე პასუხისმგებელი პირის შერჩევა და მისი უფლება-მოვალეობები

1. მინისტრი, ხოლო სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების ხელმძღვანელები თანამშრომლებიდან საჭიროების შემთხვევაში შეარჩევენ ორ პირს, რომლებიც შეითავსებენ ამ წესით გათვალისწინებულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს.
2. სექსუალური შევიწროების საკითხებზე პასუხისმგებელი პირები შეირჩევიან სექსუალური შევიწროების მიმართ მათი გამოცდილების, ცოდნისა და მგრძნობელობის გათვალისწინებით. მათი შერჩევისას დაცული უნდა იყოს გენდერული ბალანსი.
3. სექსუალური შევიწროების საკითხებზე პასუხისმგებელი პირის უფლება- მოვალეობებია:
ა) სამინისტროში სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, თანამშრომლებისათვის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების შეთავაზება;
ბ) სამინისტროში დასაქმებული პირისათვის ინდივიდუალური კონსულტაციის გაწევა სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში დახმარება;
გ) სხვა ფუნქციების შესრულება, რაც სექსუალური შევიწროების პრევენციასა და სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლებას უკავშირდება.

## IX. მონიტორინგი და შეფასება

### მუხლი 18. მონიტორინგი

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველო ვალდებულია აწარმოოს სტატისტიკა და მოამზადოს ყოველწლიური ანგარიში ამ წესის შესრულების, ინციდენტების რაოდენობისა და დამდგარი შედეგების შესახებ.

### მუხლი 19. შეფასება

წლიური ანგარიშით გამოკვეთილი ტენდენციების შესაბამისად, სამინისტრო აფასებს ამ წესის ეფექტურობას და ახორციელებს ცვლილებებს საჭიროების შემთხვევაში.